საბჭოთა კავშირის თასის 1979 წლის გათამაშება ფეხბურთში
შემდეგი მეტოქეა კუიბიშევის “კრილია სოვეტოვი”

ამ მატჩის შედეგს დინამოელებისთვის მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, - მეოთხედფინალის საგზური გუნდმა წინა შეხვედრაში გაინაღდა. ასეთ ვითარებაში კი ძალიან ძნელია კარგი თამაშისთვის განეწყო. “დინამომ” უხალისოდ დაიწყო და ასეც გააგრძელა. 20 მარტს მეოთხედფინალური მატჩია, მერე კი რამდენიმე დღეში ჩემპინატიც იწყება - ალბათ არც იყო საჭირო ენერგიის ტყუილუბრალოდ ხარჯვა.

“ურალმაში”? ეს კოლექტივი ამგვარ მეტოქეს კიდევ კარგა ხანს ვერ იშოვის, ესეც არ იყოს ქვეყნის ჩემპიონთან მონდომებული თამაში (თუნდაც ასეთ მატჩს პრაქტიკული მნიშვნელობა არც ჰქონდეს) სავსებით ბუნებრივია. სვერდლოვსკელები პირველ ხანებში მაინც ფრთხილობდნენ, მერე კი როცა დარწმუნდნენ, რომ “დინამო” საბრძოლველად არ იყო განწყობილი, საკმაოდ გათამამდნენ. მეორე ტაიმში რამდენჯერმე შეიქმნა სიტუაცია, როცა ორი დინამოელი ფორვარდი სამი მცველის პირისპირ რჩებოდა, ხან - სამი ოთხის წინააღმდეგ. ასეთნაირად გამოიხატა სტუმართა სითამამე და ორი უპასუხო ბურთიც ამის შედეგი იყო.

პირველი გოლი 64-ე წუთზე ჩელებაძის გადაცემის შემდეგ ჭილაიამ გაიტანა, მეორე (71 წ.) ისევ ჩელებაძის გადაცემით - ჩივაძემ.

“დინამომ” ხუთ მატჩში 10 ქულა მოაგროვა, გაიტანა 14 ბურთი, საკუთარ კარში მიიღო 2.

ახლა ჩვენს ფეხბურთელებს ჩვენ ფეხბურთელებს მშვენიერი შესაძლებლობა აქვთ და ალბათ ვალდებულნიც არიან სსრ კავშირის თასის ნახევარფინალის ერთ-ერთი მონაწილენი გახდნენ.

გუნდები თამაშობდნენ ასეთი შემადგენლობით: თბილისის “დინამო” - გაბელია (მამინაშვილი), კოსტავა, კანთელაძე, ჩივაძე, გ. მაჩაიძე, დარასელია, მ. მაჩაიძე (კოპალეიშვილი), ქორიძე, ჩელებაძე, სულაქველიძე (ჭილაია), შენგელია; სვერდლოვსკის “ურალმაში” - გნილოვი, სამოხვალოვი (ჟურავლიოვი), ვოლკოვი, აბაბურკო, ვოიტენკო, ჩუპროვი, ვილდიაევი, ჩერნოვი, შიშკინი, ნიკიტინი, რიაზანოვი (გურუეევი). მატჩს სჯიდა ზაპოროჟიელი ბ. ტემჩენკო.

ლელო 13.III.79